ოქმი:**ო08. 3726056001**

თარიღი:**25/02/2026**

ოქმი № 2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 23 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

15:00 – 15:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. მორჩილაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ტ. ბარამიძე, ლ. კვაჭაძე, ლ. მესხი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, აღნიშნა, რომ პროექტი აწესრიგებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოტრანსპორტის სამსახურეობრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენების საკითხს. დააყენა წინადადება დადგენილების მესამე მუხლს დამატებოდა ორი პუნქტი: “დ“ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციების თავმჯდომარეები; და „ე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. დადგენილების კონკრეტულ მუხლებზე კომისიის წევრებს მოახსენა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ,

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დადგენილების პროექრტი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი